საჯარო სამართლის იურიდიული პირი -
ბათუმის შოთა რუსთაველის სახელმწიფო უნივერსიტეტი
ბრძანება N 01-02/78

ქ. ბათუმი 04 აპრილი, 2022 წ

2021-2022 და 2022-2023 სასწავლო წლებისათვის ევროკომისიის მიერ დაფინანსებული ,,ერაზმუს+" გაცვლითი პროგრამის ფარგლებში ბიალისტოკის და შჩეცინის უნივერსიტეტებში საერთაშორისო მობილობის მონაწილე ბსუ-ს აკადემიური პერსონალის გამოვლენის მიზნით კონკურსის ჩატარებისა და საკონკურსო კომისიის დამტკიცების შესახებ

უმაღლესი განათლების შესახებ" საქართველოს კანონის 22-ე მუხლის, ბსუ-ს წესდების მე-13 მუხლის, „საერთაშორისო გაცვლითი პროგრამების ადმინისტრირების წესის დამტკიცების შესახებ" ბსუ-ს აკადემიური საბჭოს 2019 წლის 14 აგვისტოს №01-06/89 დადგენილებისა და ბსუ-ს სტრატეგიული განვითარებისა და საგარეო ურთიერთობათა დეპარტამენტის უფროსის მოადგილის ნანა ყურშუბაძის 2022 წლის 04 აპრილის MES 3 22 0000347091 სამსახურებრივი ბარათის საფუძველზე

ვბრძანებ:

1. 2021-2022 და 2022-2023 სასწავლო წლებისათვის ევროკომისიის მიერ დაფინანსებული ,,ერაზმუს+" გაცვლითი პროგრამის ფარგლებში ბიალისტოკისა და შჩეცინის უნივერსიტეტებში (პოლონეთი) ბსუ-ს სამართალმცოდნეობის, ეკონომიკის, ბიზნესის ადმინისტრირების, ტურიზმის, სოციალური და პოლიტიკური მეცნიერების, ევროპისმცოდნეობის, ფსიქოლოგიის, სოციალური მუშაკის, სოციოლოგიის, არქეოლოგიის, ფილოსოფიის, ისტორიის, პედაგოგიკის, სპეციალური პედაგოგიკის, ბიოლოგიის და ტრანსპორტის პროგრამების (მიმართულების) 2 (ორი) აკადემიური პერსონალის შერჩევისათვის განისაზღვროს შემდეგი საკონკურსო ვადები:

ა) კონკურსში მონაწილეობის მსურველთა მიერ წარმოდგენილი ბსუ-ს აკადემიური საბჭოს 2019 წლის 14 აგვისტოს N06-01/89 დადგენილებით განსაზღვრული საკონკურსო დოკუმენტაციის მიღება - 2022 წლის 04 აპრილიდან 18 აპრილის 18:00 საათამდე (სტუდენტთა ელექტრონული სერვისების მართვის სამსახურის დახმარებით) - ელექტრონულ პლათფორმაზე http://registration.bsu.ge და ელექტრონულ ფოსტაზე: erasmus@bsu.edu.ge.

ბ) საკონკურსო დოკუმენტაციის შემოწმება და შეფასება - 2022 წლის 19 აპრილი 10:00-12:00 საათამდე.

გ) გასაუბრება კონკურსანტებთან - 2022 წლის 19 აპრილი, 15:00 საათი, გასაუბრების ჩატარების ზუსტი ადგილი დამატებით ეცნობოს კონკურსანტებს ბსუ-ს ვებგვერდის ან/და მათ მიერ საკონკურსო განაცხადში მითითებულ ტელეფონებზე/ელექტრონულ ფოსტაზე.

დ) კონკურსანტთა სიების გადაგზავნა მიმღებ უნივერსიტეტში - 2022 წლის 20 აპრილი.

2. დამტკიცდეს კომისიის ძირითადი შემადგენლობა:

ა) მერაბ ხალვაში - რექტორი (თავმჯდომარე);

ბ) ანზორ ბერიძე -რექტორის მოადგილე (თავმჯდომარის მოადგილე);

გ) თამარ სირაძე -რექტორის მოადგილე;

დ) ვლადიმერ ღლონტი - ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის უფროსი;

ე) გიორგი თავამაიშვილი - სტრატეგიული განვითარებისა და საგარეო ურთიერთობათა დეპარტამენტის უფროსი ;

ვ) ნანა ყურშუბაძე - სტრატეგიული განვითარებისა და საგარეო ურთიერთობათა დეპარტამენტის უფროსის მოადგილე (მდივანი);

ზ) ლევან ჯაყელი - იურიდიული და სოციალურ მეცნიერებათა ფაკულტეტის დეკანი;

თ) მარინე გიორგაძე - ჰუმანიტარულ მეცნიერებათა ფაკულტეტის დეკანის მ/შ;

ი) ნათელა წიკლაშვილი - ეკონომიკისა და ბიზნესის ფაკულტეტის დეკანი;

კ) ლელა თურმანიძე - ზუსტ მეცნიერებათა და განათლების ფაკულტეტის დეკანი;

ლ) მარინა ქორიძე - საბუნებისმეტყველო მეცნიერებათა და ჯანდაცვის ფაკულტეტის დეკანის მ/შ;

მ) გაიოზ ფარცხალაძე - ტექნოლოგიური ფაკულტეტის დეკანი.

ნ) ირაკლი კორძაია - ტურიზმის ფაკულტეტის დეკანი.

3. აკადემიური პერსონალის კონკურსის წესით შერჩევა განხორციელდეს ბსუ-ს აკადემიური საბჭოს 2019 წლის 14 აგვისტოს N06-01/89 დადგენილებით დამტკიცებული ,,საერთაშორისო გაცვლითი პროგრამების ადმინისტრირების წესით'' განსაზღვრული კრიტერიუმებით და პროცედურებით.

4. ბრძანება სახელმძღვანელოდ და აღსასრულებლად დაეგზავნოს რექტორის აპარატს, ადმინისტრაციის ხელმძღვანელს, რექტორის მოადგილეებს, ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურს, ფაკულტეტებს, სტრატეგიული განვითარებისა და საგარეო ურთიერთობათა დეპარტამენტს, საინფორმაციო ტექნოლოგიების სამსახურს, იურიდიულ დეპარტამენტს.

5. ბრძანება ძალაშია ხელმოწერისთანავე.

6. ბრძანება შეიძლება გასაჩივრდეს მისი გამოცემიდან ერთი თვის ვადაში ბათუმის საქალაქო სასამართლოში (მის: ქ. ბათუმი, ს. ზუბალაშვილის ქ№30).

რექტორი, პროფესორი **მ. ხალვაში**